დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

აგვისტო-სექტემბერი
2023

ქართული საღამო ქ. ვარნაში

1 აგვისტოს, ქ. ვარნას ზღვის პარკში, ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს სახალხო დიპლომატიის ღონისძიებათა სერიის ფარგლებში, დიასპორული ორგანიზაციის - „ქართული სათვისტომო - დიასპორა“ მხარდაჭერით ქართული საღამო გაიმართა.
სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დასწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლის კონცერტს, დაეთვალიერებინათ გამოფენა „საქართველოს ეროვნული პარკები“ და დაეგემოვნებინათ ქართული კერძები და ღვინო.
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ბულგარეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ოთარ ბერძენიშვილმა და ქ. ვარნას მერმა, ივან პორტნიხმა. ქალაქის მერმა საქართველოს ელჩს მადლობა გადაუხადა, ქ. ვარნას კულტურული ცხოვრების აღნიშნული ღონისძიებით გამდიდრებისთვის.



ქ. თბილისში საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის - „შეიმეცნე შენი სამშობლო -საქართველო“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა

4 აგვისტოს, ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის - „შეიმეცნე შენი სამშობლო - საქართველო“ დასკვნითი, საზეიმო ღონისძიება - სამწლიანი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის შეჯამება და კონფერენციის მონაწილეთა დაჯილდოება.
კონფერენციის იდეის ავტორი გახლდათ გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის დამფუძნებელი, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი, ხოლო მხარდამჭერი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
პროექტმა თავისი იდეის გარშემო შეკრიბა აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ირლანდიის, საბერძნეთის, ნიდერლანდების, საფრანგეთისა და საქართველოს მოზარდი თაობა და საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრების, საკვირაო სკოლების, საქართველოს საჯარო სკოლებისა და არაფორმალური განათლების ცენტრების „დელეგატებს“ საშუალება მისცა გაერთიანებულიყვნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერულ დონეზე შესასწავლად.
კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და კონფერენციის მონაწილეები დააჯილდოვეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ კონსტანტინიდიმ და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბექა ოდიშარიამ.
2 აგვისტოს, კონფერენციის მონაწილეებმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, მოინახულეს ქალაქ რუსთავის ისტორიული მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბოლნისის მუზეუმი და დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი.

ქ. საქარიაში „ქართველთა სახალხო ზეიმი“ გაიმართა

6 აგვისტოს, ქ. საქარიაში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, ქ. საქარიის ქართველთა და ლაზთა კულტურის ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება - „ქართველთა სახალხო ზეიმი“.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მუსიკალურმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა, რომლებიც მაყურებლის წინაშე წარდგნენ ქართული ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ინფორმაციას საქართველოს შესახებ, ასევე დაეგემოვნებინათ ქართული კერძები.

ქ. ოსლოში 2008 წლის აგვისტოს ომის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით ფოტოგამოფენა გაიმართა

7 აგვისტოს, ქ. ოსლოში, ნორვეგიის სამეფოში საქართველოს საელჩოში, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით, ნორვეგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ზურაბ ბერიძემ, ომისა და მისი შედეგების ამსახველი ფოტოგამოფენა გახსნა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ნორვეგიის სამეფოში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს ელჩის შეხვედრა ჩეხეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

7 აგვისტოს, ქ. პრაღაში, რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თეა მაისურაძემ შეხვედრა გამართა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.
თეა მაისურაძემ ისაუბრა აგვისტოს ომზე და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების მიმდინარე ოკუპაციაზე.
შეხვედრის ფარგლებში ნაჩვენები იქნა დავით ჯაფარიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი მცოცავ ოკუპაციაზე - „სახლი არ დატოვო“.



ქ. ბერლინში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია გაიმართა

8 აგვისტოს, ქ. ბერლინში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, თამარ ჩომახიძის ინიციატივით გაიმართა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში მცხოვრებმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა.

საქართველო შუასაუკუნეების ეპოქის საერთაშორისო ფესტივალზე წარდგა

9-13 აგვისტოს, შვედეთის კუნძულ გოტლანდზე გამართულ შუასაუკუნეების ეპოქის საერთაშორისო ფესტივალში (Medeltidsveckan på Gotland), საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურეს საბრძოლო ხელოვნების ორგანიზაციამ „ჰოროლი“ და ფოლკლორულმა ანსამბლმა „ურსა“.

პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, თბილისის მერიის, შვედეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და ქართული სათვისტომოს ჩართულობით განხორციელდა.



ქართველმა მუსიკოსებმა ქ. ბერლინის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა

19 და 20 აგვისტოს, ქ. ბერლინში, ქართველმა მუსიკოსებმა მონაწილეობა მიიღეს მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის YOUNG EURO CLASSIC ფარგლებში წარმოდგენილ სპეციალურ პროგრამაში Courage in Concert, რომელიც აგვისტოს ომის მე-15 წლისთავს მიეძღვნა.

ბერლინის კონცერტჰაუზის დიდ დარბაზში გაიმართა თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის სიმფონიური კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ისლანდიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი დირიჟორი მირიან ხუხუნაიშვილი, წარმატებული მევიოლინე და მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მიუნჰენის კონსერვატორიის სტუდენტი ვერიკო ჭუმბურიძე, ელექტრონული მუსიკის ავტორი, პიანისტი ალექსანდრო კორძაია (KORDZ) და კომპოზიტორი მიკა მდინარაძე.

ბერლინის კონცერტჰაუზის მცირე დარბაზში კი გაიმართა ახალგაზრდა წარმატებული მუსიკოსების კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველმა კომპოზიტორმა და პიანისტმა, სანდრო ნებიერიძემ.

ქ. სტამბოლის ბეიქოზის ბათუმის ქართული კულტურის ასოციაციის ორგანიზებით ,,სახალხო ზეიმი“ გაიმართა

25 აგვისტოს, ქ. სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, ქ. სტამბოლის ბეიქოზის ბათუმის ქართული კულტურის ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ,,სახალხო ზეიმი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მუსიკალურმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

ანსამბლები მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით წარდგნენ.

ღონისძიების ფარგლებში, გაიხსნა ქართული სტენდი, რომელზეც წარმოდგენილი იყო საინფორმაციო ბროშურები საქართველოს შესახებ, ასევე, ქართული ეროვნული სამოსი, ქართული კერძები და გამაგრილებელი სასმელები.

კახის რაიონის წმინდა გიორგის ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგია აღევლინა

28 აგვისტოს, კახის რაიონის წმინდა გიორგის ტაძარში, ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა პეტრე ხუმარაშვილმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სადღესასწაულო ლიტურგია აღავლინა, რომელსაც აზერბაიჯანისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრევლი დაესწრო.

დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ზურაბ პატარაძემ, ქ. განჯაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ნიკოლოზ იაშვილმა და საელჩოს თანამშრომლებმა.

სადღესასწაულო ლიტურგიის დასასრულს საქართველოს ელჩმა სიტყვით მიმართა თანამემამულეებს და მიულოცა მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული. მან ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე და სტრატეგიულ პარტნიორობაზე. შეხვედრის ფარგლებში საქართველოს ელჩმა და საელჩოს თანამშრომლებმა საქართველოს მოქალაქეებს კონსულტაცია გაუწიეს საკონსულო და სხვა სამართლებრივ საკითხებში, ასევე, მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ საგრანტო პროგრამების შესახებ.

კახში დავით ყიფიანის სახელობის ფეხბურთის ჩემპიონატი ჩატარდა

ა. წ. აგვისტოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში ქართულ სოფლებსა და უბნებს შორის ჩატარდა დავით ყიფიანის სახელობის ფეხბურთის ყოველწლიური ჩემპიონატი.

მიმდინარე გათამაშება გაიმართა ანსამბლი "ჰერულას" და "ჰერეთის სახლის" ხელმძღვანელის, ვასილ პაპიაშვილის ორგანიზებით. ტურნირში მონაწილეობდა რვა გუნდი: 1) ქოთოქლო-B (შუახევი) 2) მეშაბაში (ტყისთავი) 3) ალათემური (ბინა) 4) "კრუგი" (კაკი) 5) ქოთოლქო (შუახევი) 6) შავი ბიჭები (კაკი) 7) კაკისთავი (კაკი) 8) ჭიშლანდია (კაკი).

დავით ყიფიანის სახელობის ფეხბურთის ჩემპიონატი ტარდება 1997 წლიდან კახის რაიონის აზერბაიჯანის რაიონის ქართულ სოფლებსა და უბნებს შორის.

კუნძულ მალტაზე ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა

1-6 სექტემბერს, კუნძულ მალტაზე, სახელმწიფო პროგრამის „წარსულის და აწმყოს კულტურული ჩანაწერი” (ქართული ბიბლიოთეკა კუნძულ მალტაზე) პრეზენტაცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მალტის საჯარო ბიბლიოთეკის სივრცეში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა.

პროექტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების თანადგომითა და მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტის მიზანს წარმოადგენდა კუნძულ მალტაზე ჩვენი თანამემამულეებისთვის ქართულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქართული მწერლობის პოპულარიზაცია და მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობა.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ქართველი და მალტელი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა, შვედეთის ქართული ფოლკლორული ანსამბლის „ალილო“ კონცერტი და ქართული ანიმაციის გამორჩეული რეჟისორის, დავით სიხარულიძის ანიმაციური ფილმის „ბედი ჩაკრულოსი“ ჩვენება.

მაყურებლის წინაშე, ასევე, წარდგა მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნების საერთაშორისო კონკურსის „ოქროს მუზა“ გრან-პრის მფლობელი, ნიკოლოზ მაღრაძე.

ქ. ჰააგაში საელჩოების ფესტივალი გაიმართა

2 სექტემბერს, ქ. ჰააგაში, საელჩოების ფესტივალი გაიმართა, სადაც 52 ქვეყანასთან ერთად, საქართველოს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ფესტივალზე, რომელიც ნიდერლანდების სამეფოში ყოველწლიურად სექტემბერში იმართება, ქართული დიასპორული ორგანიზაციები, საელჩოსთან ერთად, სტუმრებს საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს აცნობენ.

წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო ქართული სტენდი სხვადასხვა დასახელების ღვინით, ტრადიციული კერძებით, ხალხური რეწვის ნიმუშებით, სამკაულებით და ხელნაკეთი ნამუშევრებით. დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა მიეღო ინფორმაცია საქართველოს კულტურული ღირებულებებისა და ტურისტული პოტენციალის შესახებ.

ქართულ სტენდს ესტუმრა ქ. ჰააგის მერი, იან ვან ზანენი, რომელსაც ერთგვარი გიდობა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ გაუწია. მერმა მადლობა გადაუხადა ქართველ მონაწილეებს განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნისთვის და ფესტივალის კულტურული ლანდშაფტის გამდიდრებაში შეტანილი წვლილისთვის.

შვედეთის სკონეს რეგიონში „ქართული დღე“ გაიმართა

2 სექტემბერს, შვედეთის სკონეს რეგიონში მდებარე ვიბის მევენახეობის ქართულ მარანში „ქართული დღე“ გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩომ, ასევე, შვედეთში წმინდა გიორგის სამრევლოს მღვდელმსახურმა, მამა შიომ და ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებმა. სტუმრებისთვის შესრულდა ქართული მრავალხმიანი სიმღერები, საგალობლები და ქართული ცეკვა.

ღონისძიების ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა დაეგემოვნებინა სხვადასხვა სახეობის ქართული წარმოების და შვედეთში ტრადიციული ქართული მეთოდით ქვევრში დაყენებული ღვინოები.



ღია კარის დღე პენსილვანიის ქართული კულტურის ცენტრში

3 სექტემბერს, პენსილვანიის წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრში ღია კარის დღე ჩატარდა.

ბავშვებს, მშობლებსა და პედაგოგებს, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და დალოცა, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე საბამ (ინწკირველი).

ქ. ნაარდენში საერთაშორისო საფორტეპიანო ფესტივალი გაიმართა

4 სექტემბერს, ქ. ნაარდენის საერთაშორისო საფორტეპიანო ფესტივალის- Naarden International Piano Festival სეზონის გახსნის საზეიმო კონცერტში, მსმენელის წინაშე წარდგა ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველი პიანისტი, ნინო გვეტაძე, რომელიც, ამავდროულად, ფესტივალის თანადამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია. მასთან ერთად, საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულა ჰოლანდიელმა პიანისტმა, ბარტ ვან დე რურმა.
კონცერტს ფართო საზოგადოება დაესწრო, რომელთა შორისაც იყვნენ კულტურის სფეროს წარმომადგენლები, ქალაქ ნაარდენის მერი, პიტერ რევინკელი და ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია.

ქ. ბათ-იამში ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ კონცერტი გამართა

9 სექტემბერს, ქ. ბათ-იამის აუდიტორიუმში, ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“ ჩაატარა რიგით მე-12 კონცერტი, სლოგანით - „ვინ ვართ!“.
ღონისძიებას ონლაინ რეჟიმში შეუერთდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მარინა გელაშვილმა, ქ. ბათ-იამის მერმა, ცვიკა ბროტმა და ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს კონსულმა, ზურაბ სინჯარაძემ.
ღონისძიების ფარგლებში, „ქართული ხელოვნების ცენტრმა“ მადლობის სიგელით დააჯილდოვა ისრაელში ქართული საკვირაო სკოლა „მამულის“ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ფიქრია ლეჟავა.

ახალგაზრდა ელჩების ორგანიზებით საქართველოს ოკუპაციის თემაზე ვებინარი ჩატარდა

10 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2023 წლის გამარჯვებულების - ნიკოლოზ იმნაძის (კანადა), სოფიკო ბზარაშვილის (თურქეთი), მარიამ ქებაძისა (უნგრეთი) და ბელა უგრეხელიძის (იტალია) ორგანიზებით ჩატარდა ვებინარი „საქართველოს ოკუპაცია და დეოკუპაცია: ისტორიული პერსპექტივა და დღევანდელი რეალობა”.

მონაწილეებმა ისაუბრეს საოკუპაციო პოლიტიკის ისტორიულ განზომილებებზე და საქართველოს ოკუპაციის შემდგომ საერთაშორისო გამოხმაურებებზე.

ვებინარში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის მეუღლემ, მაკა ჩიკვილაძემ.

ვებინარი მიზნად ისახავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს ოკუპაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გავრცელებს.

ვებინარის თარგმანს ინგლისურ ენაზე უძღვებოდა ვიქტორია არაქელიანი.

ვებინარი ნიდერლანდების სამეფოში სწავლის მსურველთათვის

11 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2023 წლის გამარჯვებულმა ნიდერლანდების სამეფოში, მარიამ მიქიაშვილმა და ჰააგის გამოყენებით სწავლებათა უნივერსიტეტის სტუდენტმა, ლუკა გაგუამ ჩაატარეს საორიენტაციო ონლაინ შეხვედრა ნიდერლანდების სამეფოში მომავალი სტუდენტებისთვის.

ვებნარის ორგანიზატორებმა ისაუბრეს ნიდერლანდების სამეფოში სასწავლო და საყოფაცხოვრებო საკითხებზე, როგორებიცაა რეგისტრაცია მუნიციპალიტეტში (BSN კოდი, DigID), საბანკო ანგარიშის გახსნა, სამედიცინო პუნქტში რეგისტრაცია და სხვა.

ქ. სან-ფრანცისკოს საჯარო ბიბლიოთეკაში ქართული სექცია გაიხსნა

12 სექტემბერს, ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოსა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ძალისხმევით, სან-ფრანცისკოს საჯარო ბიბლიოთეკაში პირველად, ქართული სექცია გაიხსნა. გენერალური საკონსულოს წარმომადგენლებმა ბიბლიოთეკას, ქართული მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა გადასცეს. ქართულ და ინგლისურენოვანი წიგნები ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში განთავსების შემდეგ, ნებისმიერი მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

წიგნების გადაცემის ცერემონიას სან-ფრანცისკოს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, მაიკლ ლამბერტი, ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური კონსული, ლევან ბერიძე, ქართული მემკვიდრეობის ფონდის დამფუძნებელი, ლიანა ნიცეცკაია და საკვირაო სკოლის მასწავლებლები დაესწრნენ.

ამავე დღეს, გენერალურმა კონსულმა, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით, ქართული მემკვიდრეობის ფონდს / Georgian Heritage Foundation ქართული საბავშვო და საგანმანათლებლო წიგნები გადასცა. შერჩეული ლიტერატურა, ასევე, გადაეცემა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებო ცენტრს სამხრეთ კალიფორნიაში / Georgian Cultural and Educational Center of Southern California და მათ საკვირაო სკოლებს.

კალიფორნიის ქართულ დიასპორულ ცენტრებს უკვე წლებია, სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის, ენისა და სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნების საქმეში.

უახლოეს მომავალში იგეგმება სტენფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის, ქართული წიგნების გადაცემა, რაც ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის უფრო ფართოდ წარმოჩენას კალიფორნიის მასშტაბით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირლანდიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

13 სექტემბერს, ირლანდიაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი ირლანდიაში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.
შეხვედრა ირლანდიაში საქართველოს საელჩოში გაიმართა. მისმა მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ქართული დიასპორის მნიშვნელოვანი როლი ირლანდიაში საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, აგრეთვე ვრცლად მიმოიხილეს სახელმწიფოს მიერ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერისკენ მიმართული ძალისხმევა, რაც, მათ შორის, სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში გამოიხატება.
მინისტრმა დიასპორის წარმომადგენლებს მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ სახელწიფოს მიერ დაგეგმილ აქტივობებში და გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები ქვეყნის იმიჯის განმტკიცებისა და გაძლიერებისთვის. დიასპორის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ირლანდიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერისთვის.

ქ. ვარშავაში ირინა სხირტლაძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი აღევლინა

14 სექტემბერს, ქ. ვარშავას სამხედრო სასაფლაოზე აღევლინა ვარშავის აჯანყებაში ტრაგიკულად დაღუპული 16 წლის ირინა სხირტლაძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.
1944 წლის აგვისტოში, ვარშავის აჯანჯების დაწყების პირველივე დღეებში, ირინა სხირტლაძე პოლონეთის წინააღმდეგობის არმიაში მოხალისედ ჩაეწერა და „პარასოლის“ ბატალიონის მეკავშირე და სანიტარი იყო. 1944 წლის 14 სექტემბერს იგი ლუდნას ქუჩაზე გერმანელთა ტყვიამ იმსხვერპლა, როდესაც ის ცდილობდა „პარასოლის“ ბატალიონის უფროსისთვის დახმარება აღმოეჩინა.
ირინა სხირტლაძის ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2023 წლის გამარჯვებულმა, თორნიკე ცირეკიძემ და პოლონეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა

„დიასპორის სახლის“ ორგანიზებით თანამემამულეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა

14 სექტემბერს, ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში, არასამთავრობო ორგანიზაცია „დიასპორის სახლის“ ორგანიზებით, საერთაშორისო პროექტის „თანამემამულეები“ ფარგლებში, ემიგრანტების რიგით მე-8 დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.
წელს ღონისძიებაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 18 ემიგრანტი დაჯილდოვდა.
ღონისძიებას, აღმასრულებელი ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საპატრიარქოსა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და ასევე, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ესწრებოდნენ.

ქ. ჰანოვერში სოხუმის დაცემის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა

15 სექტემბერს, ქ. ჰანოვერში, დიასპორული ორგანიზაცია „გერმანულ-ქართული სახლის“ ორგანიზებით, სოხუმის დაცემის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

საღამოში მონაწილეობდნენ გერმანიაში მოღვაწე ქართველი და უკრაინელი ოპერის მომღერლები. ნაჩვენები იქნა აფხაზეთის საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის მიერ მომზადებული ვიდეო რგოლები, რომელიც ეხებოდა აფხაზეთსა და საქართველო-გერმანიის ურთიერთობებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაშიძე და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ჯემალ გამახარია.

ქართული დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს ქართული დიასპორის მხრიდან მსგავსი სახის ინიციატივების მნიშვნელობა, რაც პოზიტიურ როლს თამაშობს საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებულ სამშვიდობო პროცესებში. მათ მადლობა გადაუხადეს ღონისძიების იდეის ავტორს და ორგანიზატორს, დიასპორული ორგანიზაცია „გერმანულ-ქართული სახლის“ ხელმძღვანელს, ნინო ციბაძეს.

ღონისძიების მეორე დღეს, 16 სექტემბერს, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი „გერმანულ-ქართულ სახლთან“ არსებული ქორეოგრაფიული სტუდია „კოლხის" ცეკვის გაკვეთილს დაესწრო. მუხრან გულაღაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუდიის ქორეოგრაფებსა და აღსაზრდელებს იმ მონდომებისა და შემართებისათვის, რაც მოზარდებმა ერთი წლის მანძილზე გამოიჩინეს, რათა შეესწავლათ ქართული ცეკვები საქართველოდან შორს, გერმანიაში.

იმავე დღეს, მუხრან გულაღაშვილი ჰანოვერში მოქმედი დიასპორული ორგანიზაცია „ჰანოვერის ქართული სათვისტომოს“ თავმჯდომარეს, თორნიკე მურცხვალაძესა და სათვისტომოს წევრებს შეხვდა. საუბარი შეეხო დიასპორის აქტიურ ჩართულობას საქართველოში მიმდინარე პროცესებში, ასევე, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროექტების განხორციელებაში. განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

ორგანიზაცია „გეორგიკასთან“ არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ „ევროპული ენის დღე“ აღნიშნა

15 სექტემბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, ქართულ-გერმანული კულტურისა და განათლების ორგანიზაცია „გეორგიკასთან“ არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ მონაწილეობა მიიღო „ევროპული ენის დღესთან“ დაკავშირებულ ღონისძიებაში, რომელიც ქალაქ მაინის ფრანკფურტის მერიის პატრონაჟით გაიმართა.

ქართული საკვირაო სკოლის მიერ მოწყობილ სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული ენის და ლიტერატურის სასწავლო-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, საინფორმაციო ბროშურები და სხვა სასწავლო მასალები.

ღონისძიების ფარგლებში, ქართული საკვირაო სკოლის ხელმძღვანელმა, მაია შავლიაშვილმა გამართა პრეზენტაცია საკვირაო სკოლის მიზნებზე და ამოცანებზე, ორგანიზაციის სასწავლო მეთოდოლოგიაზე და კავშირებზე ანალოგიურ ორგანიზაციებთან, რაც ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეთა ინტეგრაციას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს კონსული, მაია აბულაშვილი და კონსულტანტი ოთარ ნიშნიანიძე.

ანსამბლმა „ივერიელები“ საქველმოქმედო კონცერტში მიიღო მონაწილეობა

16 სექტემბერს, ქ. ათენში, „ალსოს ვარვარესუს“ მოედანზე, საქველმოქმედო ხასიათის კულტურული ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო „ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან“ არსებულმა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „ივერიელები“, რომელიც მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით წარდგა.
ღონისძიება გაიმართა თესალიის ოლქის მოსახლეობის დახმარების მიზნით და მასში მონაწილეობდნენ ანსამბლები საბერძნეთიდან, სომხეთიდან და რუმინეთიდან.



საქართველოს კულტურის დღეები ქ. ტალინში

16 სექტემბერს, ქ. ტალინის მუნიციპალიტეტისა და ესტონეთის ფოლკლორის საბჭოს ორგანიზებით, ქ. ტალინში გამართული ყოველწლიური ზეიმი სახელწოდებით „ეროვნულ კულტურათა დღესასწაული“ საქართველოს კულტურის დღეებით გაიხსნა.
ღონისძიებების ფარგლებში, ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო დარბაზში ჩატარდა ქართული ენისა და ცეკვის მინი-გაკვეთილები. ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა, მარიამ ლებანიძემ წარადგინა პრეზენტაცია საქართველოს ისტორიისა და ქართული დამწერლობის საკითხებზე. ღონისძიება მოიცავდა, ასევე, ფოტოგამოფენას სახელწოდებით ,,ქართული ანბანის სამი სახეობა“, ნაჩვენები იქნა რეჟისორ ნანა ჯანელიძის ფილმი ,,გალობის რაინდები“. ქართული კულტურის დღეები დასრულდა ტრადიციული ქართული კერძებისა და სასმელების დაგემოვნებით.
ღონისძიების მხარდამჭერები გახლდნენ ქ. ტალინის მუნიციპალიტეტი, ესტონეთის კულტურის სამინისტრო, ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო, რესტორანი „ქართული ტავერნა“ და დიასპორული გაერთიანება „ქართული სახლი“.

ანსამბლი „კავკასია“ ქ. ათენში ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე წარდგა

17 სექტემბერს, ქ. ათენში, ვეიკოს პარკის ღია თეატრში გაიმართა ათენის ტრადიციული საერთაშორისო „ხუთი კონტინენტის ფესტივალი", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრ ,,კავკასიასთან“ არსებულმა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა.
ღონისძიება ჩატარდა Club for UNESCO of Piraeus & Islands, ხელოვნების საერთაშორისო ორგანიზაციისა (International Action Art) და გალაცის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით.

ქართული დღეები ქ. ტორონტოში

17 სექტემბერს, ქ. ტორონტოს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესიის წინამძღვრის, მამა თომას (ბეკურიშვილი) ინიციატივით გაიმართა ქართული დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
ღონისძიების ფარგლებში, ტაძრის ეზოში მდებარე შენობაში საზეიმოდ გაიხსნა ქართული საკვირაო სკოლია. აღსანიშნავია, რომ საკვირაო სკოლის შენობა, თავად ტაძრის მსგავსად, ადგილობრივი დიასპორის შემოწირულობებით იქნა შეძენილი.
ღონისძიების ფარგლებში, ქართული ეკლესიის ეზოში მოეწყო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, იმერეთისა და გურიის სტენდები, სადაც ტორონტოში მცხოვრებ ქართულ დიასპორას წარმოდგენილი ჰქონდა თავიანთი კუთხის სამზარეულო. ასევე, მოეწყო ქართული ტრადიციული წესით ყურძნის დაწურვა და ჩურჩხელის დამზადება ემიგრანტი ბავშვების მონაწილეობით.
ზეიმს ესწრებოდნენ ონტარიოს პროვინციის საკანონმდებლო ორგანოში პროგრესული კონსერვატიული პარტიის წევრი ბერი-ინისფილის საარჩევნო ოლქიდან, ანდრეა ხანჯინი (Andrea Khanjin) და კანადაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართულმა დიასპორულმა ასოციაციამ „სამშობლო“ ქ. კიშინეუს ეთნიკური უმცირესობების ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

17 სექტემბერს, ქ. კიშინეუში გაიმართა ეთნიკური უმცირესობების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართულმა დიასპორულმა ასოციაციამ - ქართული დიასპორა მოლდოვას რესპუბლიკაში - „სამშობლო“, ალექსანდრე კაკულიას თავმჯდომარეობით.
ღონისძიების ფარგლებში ფესტივალის სტუმრებს საშუალება მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ტრადიციული კერძები.







ქ. რომში ქართველი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

17 სექტემბერს, ქ. რომში, კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია „აკიდოს“ ორგანიზებით, იტალიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანების, ლია კერვალიშვილისა და ნანა გოცირიძის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „გვაქვს უთვალავი ფერითა" გაიმართა.
გამოფენას ესწრებოდნენ იტალიელი სტუმრები, იტალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის, საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, მაკა გურგენიძე.

ჩინეთში სწავლის მსურველთათვის ონლაინ შეხვედრა გაიმართა

18 სექტემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2023 წლის გამარჯვებულის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, თამარ ქვლივიძის, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაცია „მთავარი თაობის“, ბათუმის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაცია „Helping Hand“-ის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული სათათბიროს, ირაკლი შუბითიძისა და ნინო ცაავას ერთობლივი ძალისხმევით, გაიმართა ონლაინ შეხვედრა - „საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობები”.
შეხვედრის ფარგლებში თამარ ქვლივიძემ ახალგაზრდებს გაუზიარა ინფორმაცია ჩინეთში არსებულ სასწავლო შესაძლებლობებზე, მათ შორის, სხვადასხვა ტიპის სტიპენდიაზე. შეხვედრას 40-მდე ახალგაზრდა ესწრებოდა.



ქ. პარიზში სპექტაკლი „საიდანაც მზე მოდიოდა“ დაიდგა

20 სექტემბერს, ქ. პარიზში ქართველთა კულტურის კერა „ლაზის“ ორგანიზებით, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა, წარმოადგინა ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი „საიდანაც მზე მოდიოდა“.
საღამოს ესწრებოდნენ საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გოჩა ჯავახიშვილი და საელჩოს წარმომადგენლები. ასევე, პარიზის ქართული პანტომიმის თეატრის მსახიობი თამარა ლოჩოშვილი, პარიზის ქართული სკოლა „ლაზის“ აღსაზრდელები და პედაგოგები - ნანა ფალავანდიშვილი, ლალი ჯაშიაშვილი, ნანა კაპანაძე და ცირა ქირია.

ქ. ვიქტორიაში მდებარე „აფხაზის ბაღში“ მშვიდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა

21 სექტემბერს, კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის დედაქალაქ ვიქტორიაში მდებარე „აფხაზის ბაღში“ მშვიდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა. საზეიმო ღონისძიების ინიციატორი იყო კანადური საქველმოქმედო ორგანიზაცია The Land Conservancy of BC (TLC), რომელმაც თავის დროზე, დონორების დახმარებით გამოისყიდა საქართველოს ეროვნული გმირის, კოტე აფხაზის შვილის - ნიკოლოზ (ნიკო) აფხაზის მიერ 1946 წელს ვიქტორიაში დაარსებული „აფხაზის ბოტანიკური ბაღი“ და დღემდე ზრუნავს მისი თავდაპირველი იერ-სახის შენარჩუნებაზე.

TLC-ის მიწვევით, საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კანადაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, გიორგი მესხელმა, კულტურის საკითხებში საელჩოს რეფერენტმა, ქეთევან ფრეიზერმა, ადგილობრივი ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ბესო გოცაძემ, დიანა იმნაძემ, გიორგი იმნაძემ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიური საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა ნიკოლოზ იმნაძემ და ზურაბ ივანიშვილმა. მოწვეულნი იყვნენ, აგრეთვე, ნიკო აფხაზზე შექმნილი დოკუმენტური ფილმის “Abkhazi Garden – Sanctuary from War” ავტორი ჯეფ ბერდი, თავად ნიკოლოზ აფხაზის და მისი მეუღლის მეგობრები, ბაღის მფლობელი ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ბაღის კოორდინატორი შერი მილტიმორი და მოხალისეთა ჯგუფი.

პროგრამის პირველ ნაწილში გაიმართა საზეიმო სადილი, რომელზეც საელჩოს მიერ მიწოდებული ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა გიორგი მესხელმა, რომელმაც ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის აუცილებლობაზე და სამშვიდობო პროცესებში ახალგაზრდობის როლზე.

ღონისძიებას, ასევე, დაესწრნენ ქ. ვიქტორიის საშუალო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები, რომლებმაც პროგრამის მეორე ნაწილში წარმოადგინეს მშვიდობის თემატიკაზე შექმნილი პერფორმანსი და ბაღში, სიმბოლურად, მათ მიერ შეღებილი „მშვიდობის ქვები“ განალაგეს. გიორგი მესხელმა კანადელ ბავშვებს მშვიდობის საერთაშორისო დღე მიულოცა და „აფხაზის ბაღის“ ისტორიის ამსახველ ბროშურებთან ერთად, ქართულ-კანადური დროშის სამკერდე ნიშნები დაურიგა.

საქართველოს საელჩომ უნგრეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს უმასპინძლა

22 სექტემბერს, ქ. ბუდაპეშტში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, მარიამ ქებაძის ორგანიზებით გაიმართა უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, თამარ ლილუაშვილის და საელჩოს წარმომადგენლების არაფორმალური შეხვედრა უნგრეთში ქართველ სტუდენტებთან.
თამარ ლილუაშვილმა სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და მათ შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.
სტუდენტებმა ერთმანეთს გაუზიარეს პრაქტიკული ინფორმაცია სხვადასხვა ადმინისტრაციულ პროცედურებთან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით.

შეხვედრა ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველ ლიტერატორ არჩილ ჯავახაძესთან

22 სექტემბერს, ქ. თბილისში, საქართველოს მწერალთა სახლში, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველ მწერალთან, არჩილ ჯავახაძესთან.
შეხვედრაზე, არჩილ ჯავახაძეს გადაეცა მწერალთა კავშირის წევრობის მოწმობა და მიენიჭა ქართული კულტურის ამაგდარის წოდება.
მოწვეულ სტუმართა შორის გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გურამ ოდიშარია და ენათმეცნიერების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თინათინ ბოლქვაძე, რომლებმაც ისაუბრეს არჩილ ჯავახაძისა და მისი ოჯახის ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის შესახებ.

ქ. ბერლინში აფხაზეთის ომის ტრაგედიის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა

24 სექტემბერს, ქ. ბერლინში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, თამარ ჩომახიძის ორგანიზებით, ბრანდენბურგის კარიბჭესთან გაიმართა გამოფენა, რომელიც აფხაზეთის ომის ტრაგედიის 30-ე წლისთავს მიეძღვნა.
გამოფენამ კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას ტრაგიკული ომი და შესაძლებლობა მისცა ღონისძიების ორგანიზატორებს გაეპროტესტებინათ რუსეთის ოკუპაცია.



ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ ნიდერლანდების უნივერსიტეტების სტუდენტებს უმასპინძლა

25 სექტემბერს, ქ. ჰააგაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, მარიამ მიქიაშვილის ჩართულობით, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა ამსტერდამის უნივერსიტეტისა და ჰააგის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთა შორის იყვნენ ქართველი სტუდენტებიც.
სტუდენტები მიიღო ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით სოლომონიამ. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ საქართველოს ელჩისთვის მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი შეკითხვები დაესვათ.
დავით სოლომონიამ ახალგაზრდებს გაუზიარა თავისი მოსაზრებები საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის, უსაფრთხოების რეგიონულ გამოწვევებზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ნიდერლანდებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმდინარე ურთიერთობებზე და ევროატლანტიკურ პერსპექტივებზე.

ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ ენების ევროპულ დღეში მიიღო მონაწილეობა

26 სექტემბერს, ენების ევროპულ დღესთან დაკავშირებით, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ და ქართულმა დიასპორამ მონაწილეობა მიიღო ნიდერლანდების სამეფოში ევროკავშირის კულტურის ეროვნული ინსტიტუტების EUNIC Netherlands მიერ, ქ. ჰააგასა და ქ. ამსტერდამში მოწყობილ ყოველწლიურ აქტივობებში.

ღონისძიების ფარგლებში, ამსტერდამის საჯარო სივრცე De Hallen Amsterdam-ში ქართული ენის კუთხე მოეწყო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით სოლომონია, ნიდერლანდებში მოღვაწე ქართველი ლიტერატორი, არჩილ ჯავახაძე და საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული, მარიამ მიქიაშვილი.

საქართველოს ელჩმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა მონაწილეებს და მადლობა გადაუხადა ევროპული ენების დღის ორგანიზატორებს მხარდაჭერისთვის, რომელიც ემსახურებოდა ლინგვისტური ცნობიერების ამაღლებას და ქართული ენის ათვისების წახალისებას ნიდერლანდების სამეფოში.

ჰააგის ფრანგული ინსტიტუტის Alliance Française La Haye სივრცეში, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს მრჩეველმა, ხუტა სალიამ სკოლის მოსწავლეების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის წაიკითხა პრეზენტაციები ქართული ენისა და კულტურის შესახებ.

ქ. პეკინში ქართული მუსიკის საღამო გაიმართა

26 სექტემბერს, ქ. პეკინში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, თამარ ქვლივიძის ორგანიზებით, ერთ-ერთ ცნობილ ჯაზ-ბარში ქართული მუსიკის საღამო გაიმართა.

თამარ ქვლივიძემ დამსწრე საზოგადოებისთვის შეასრულა ქართული სიმღერები. მას აკომპანიმენტი გაუწიეს ჩინეთის ცენტრალური კონსერვატორიის სტუდენტებმა, პიანისტმა ლი ძიაძუნმა და გიტარისტმა ჭენგ ძიენმა.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ჩინეთში ქართული მუსიკის პოპულარიზაცია.

საღამოს ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ჩინელი სტუმრები, მათ შორის, კონსერვატორიის სტუდენტები, მედიისა და ბიზნეს სფეროს წარმომადგენლები.

ქ. სტამბოლში ჩატარდა ღონისძიება - „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“

27 სექტემბერს, ქ. სტამბოლში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, სოფიკო ბზარაშვილის ორგანიზებითა და ქ. სტამბოლში შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა ღონისძიება - „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა მაკა გადელიამ, ნარგიზა სიხარულიძემ და მანანა ზოიძემ, ასევე, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების მისაღებად ჩასულმა სტუდენტებმა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსულმა, გიზო ბიბლაიამ, რომელიც საღამოს სპეციალური სტუმრის სტატუსით ესწრებოდა.

ღონისძიების დაწყებამდე, მისულმა სტუმრებმა ომში დაღუპულ ახალგაზრდებს საქართველოს ჰიმნის ფონზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

ქ. დუბლინში სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა

27 სექტემბერს, ქ. დუბლინში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, თამარ მესხის ორგანიზებით სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში, University College Dublin-ის კინოდარბაზში ანუნა ბუკიას დოკუმენტური ფილმის „მე გადავცურე ენგური" ჩვენება გაიმართა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს თამარ მესხმა და ირლანდიის სანეფოში საქართველოს საელჩოს ვიცე-კონსულმა, სოფიკო ქოჩქიანმა.

ქ. რიგაში სოხუმის დაცემის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოფენა გაიმართა

27 სექტემბერს, ქ. რიგაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, ანა მამალაძის ორგანიზებით, სოხუმის დაცემის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოფენა გაიმართა.
ღონისძიების მონაწილეებმა პატივი მიაგეს აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას და კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი რუსეთის ოკუპაციას.

ქ. ვარშავაში სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება გაიმართა

27 სექტემბერს, ქ. ვარშავაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, თორნიკე ცირეკიძის და ქართული დიასპორის ორგანიზებით პოლონეთში არსებულ მართლმადიდებლურ სამიტროპოლიტო რეზიდენციაში სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება ჩატარდა.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ფილმის „აფხაზეთში დამარცხდა ომი“ ჩვენება.
ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა სამიტროპოლიტო რეზიდენციის დირექტორმა, მამა ანდრეიმ. დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით წარდგნენ პოლონეთში ქართული დიასპორის ყოფილი თავმჯდომარე, დავით გამცემლიძე, მედავითნე, პოლონეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტი, მამუკა გვასალია და ქუთაისის, თბილისის, სანქტ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის კურსდამთავრებული, დავით დათიაშვილი.
წმ. მარიამ მაგდალინელის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, მამა ანატოლიმ გადაიხადა აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.
ღონისძიებას ესწრებოდნენ დიასპორული გაერთიანების „ქართული სათვისტომო პოლონეთში“ ხელმძღვანელი, დავით ადამაშვილი და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი, თენგო ფურცელაძე.

„30 წელი სოხუმის დაცემიდან: რეალობა და პერსპექტივები"

30 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულების ორგანიზებით ონლაინ რეჟიმში ჩატარდა პანელური დისკუსია სახელწოდებით „30 წელი სოხუმის დაცემიდან: რეალობა და პერსპექტივები".

მონაწილეებმა სიღრმისეულად განიხილეს აფხაზეთის, როგორც გაყინული კონფლიქტის ისტორიული განზომილებები, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, კონფლიქტის მოგვარების დამაბრკოლებელი გარემოებები, იმდროინდელი ჰიბრიდული ომის ელემენტები.

პანელური დისკუსიის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოს ოკუპაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის გავრცელება.



ქ. ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ქართული წიგნები გადაეცა

30 სექტემბერს, ქ. ბრიუსელში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, ალექსანდრე ქიზიყურაშვილის ინიციატივით ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის - (Vrije Universiteit Brussel) ცენტრალურ ბიბლიოთეკას გადაეცა ქართული ისტორიული და პროზაული ლიტერატურა.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისათვის გადაცემულ წიგნებს შორისაა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ლიტერატურის ანთოლოგია და ბრიტანელი მეცნიერისა და მთარგმნელის, დონალდ რეიფილდის ნაშრომი საქართველოს შესახებ.

ალექსანდრე ქიზიყურაშვილისა და ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის თანამშრომლობით, აღნიშნული ლიტერატურა ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის ათასობით სტუდენტისათვის.

ქართული კულტურის დღეები ქ. ფრანკფურტში

30 სექტემბერს, ქ. ფრანკფურტში, ქართულ-გერმანული კულტურისა და განათლების ორგანიზაცია „გეორგიკას“ ორგანიზებული ქართული კულტურის დღეები ქართული კლასიკური მუსიკის კონცერტით გაიხსნა.
კონცერტში მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მუსიკოსებმა, პიანისტის, ნინო ხალვაში-ვირთის ხელმძღვანელობით.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი, ქ. ფრანკფურტში საქართველოს გენერალური კონსული, გიორგი ტაბატაძე, გერმანული სტუმრები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
ქართული კულტურის დღეები ფრანკფურტში ა. წ. 21 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საღამო „დიდი ხნის სიყვარული საქართველოსა და გერმანიას შორის“, აბო იაშაღაშვილის საავტორო საღამო, ინკლუზიური ვორქშოპი, გერმანიაში არსებული ქართული სკოლების ფესტივალი და სხვა ღონისძიებები.

ტექნიკური ხარვეზის გამო, ივნისის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეუქდება მიმდინარე ნომერში

საქართველოს დელეგაციის შეხვედრა ყაზახეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

16 ივლისს, ქ. ატირაუში, საქართველოდან ჩასულ დელეგაციის წევრებსა და ყაზახეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შორის ოფიციალური შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას საქართველოს დიასპორის ოფისში ესწრებოდა ქ. ატირაუს მერი, კეიკინი შაკირი.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს დელეგაციის წევრებმა - ქ. ბორჯომის მერმა, ოთარ არბოლიშვილი, ქ. ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით ზაალიშვილმა და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ პრეზიდენტმა, ლევან ბაღდავაძემ.

შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და ყაზახეთს შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე. მხარეებმა გამოთქვეს ქ. ბორჯომისა და ქ. ატირაუს დამეგობრების ინიციატივა და შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობაზე.

ქ. ატირაუში ნაციონალურ–კულტურული ქართული ცენტრის - „ივერია“ ხელმძღვანელმა, ზურაბ ბობოხიძემ, საქართველოსა და ყაზახეთის მხარეებს უსურვა პოლიტიკურ და ეკონომიკური საკითხებში წარმატება, მშვიდობა და სტაბილურობა.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO